



# საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000079049950420

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46  
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 44

02 / დეკემბერი / 2020 წ.

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ზემო ალვანში მდებარე 5716 კვმ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწისა და მასზე მდებარე შენობის (კულტურის სახლი) ა.ა.ი.პ “ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-სათვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ)“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ)“ ქვეპუნქტის, მე-4, მე-6 პუნქტებისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე, 55-ე მუხლების შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

## გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს პირდაპირი განკარგვის წესით, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. ზემო ალვანში მდებარე 5716 კვმ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწისა და მასზე მდებარე შენობის (კულტურის სახლი) ა.ა.ი.პ “ახმეტის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-სათვის ხუთი წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა - მოიჯარისათვის იჯარის უფლების არსებული ვადით შენარჩუნების პირობით (საკადასტრო კოდი 50.01.35.421).
2. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ. N41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/  
შტამბდასმულია  
ელმმართველობა



თამარ ყვინიშვილი